

## მარტივი წარმოება

ორის ბუღალტერიაში თუ არ გაქვთ შექმნილი წარმოების ცხრილები შესაძლებელია მარტივი წარმოების ოპერაციის შესრულება. ამისათვის შედით ბუღალტერია/მაკრო ოპერაციები/მარტივი წარმოება:

Macro (Simple manufacturing)

ოპერაციის თარიღი  
28.04.2022

დოკუმენტის ნომერი

წარმოებული პროდუქცია

წარმოებული პროდუქციის რაოდენობა  
0

წარმოებული პროდუქციის ღირებულების ცენტრი  
საწყობი

კომენტარი

ნაშთი მონიშნული მასალებისთვის

მასალა-წედლეული

სასაქონლო ანგარიში	კოდი	საგანი	რაოდენობა	რაოდენობრივი ერთეული
--------------------	------	--------	-----------	----------------------

OK    შევწყვიტოთ

ამ ოპერაციით შესაძლებელია ერთი სახეობის მზა პროდუქციის წარმოება. ველში „ოპერაციის თარიღი“ მიუთითეთ წარმოების ოპერაციის შესრულების თარიღი.

ველში „დოკუმენტის ნომერი“ მიუთითეთ წარმოების დოკუმენტის ნომერი.

ველში „წარმოებული პროდუქცია“ აირჩიეთ პროდუქცია რომლის წარმოებასაც აპირებთ. [...] ღილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B), გადით ანგარიშების სიაზე. აირჩიეთ სასურველი მზა პროდუქციის ანგარიში თუ არ გაქვთ დაუმატეთ მზა პროდუქცია ანგარიშებში.

ველში „წარმოებული პროდუქციის რაოდენობა“ მიუთითეთ ის რაოდენობა რის წარმოებასაც აპირებთ მიმდინარე ოპერაციით.

ველში „წარმოებული პროდუქციის ღირებულების ცენტრი“ მიუთითეთ ღირებულების ცენტრი (საწყობი) სადაც გასურთ მზა პროდუქციის წარმოება. [...]

ლილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B), გადით ღირებულების ცენტრის სიაზე აირჩიეთ სასურველი ჩანაწერი.

ველში „კომენტარი“ მიუთითეთ სასურველი კომენტარი.

ეკრანში „მასალა ნედლეული “ უნდა მიუთითოთ ზემოთ მითითებული პროდუქციის სანარმოებლად საჭირო მასალა .

დაამატეთ ჩანაწერი ,ჩანაწერის დასამატებლად გამოიყენეთ ლილაკი (ან კლავიატურაზე Insert).დადექით ველზე „სასაქონლო ანგარიში“ ლილაკზე დაჭერით (ან კლავიატურაზე Alt+B) გადით ანგარიშების სიაზე.მოძებნეთ მასალის ანგარიში მონიშნეთ და დააჭირეთ ლილაკს „ავირჩიოთ“.


ეკრანში „მასალა ნედლეული “ დაამატეთ ყველა ის მასალა რაც გჭირდებათ პროდუქციის სანარმოებლად.

ველში რაოდენობა თითოეულ მასალას მიუთითეთ ის რაოდენობა რაც საჭიროა ზემოთ ველში „ნარმოებული პროდუქციის რაოდენობა“ მითითებული რაოდენობის სანარმოებლად.

სასაქონლო ანგარიში	კოდი	საკანი	რაოდენობა	რაოდენობრივი ერთეული
1620 14	14	მასალა1	3	კგ
1620 15	15	მასალა2	4	კგ


ამ ოპერაციით უნდა მოხდეს 5 შპა პროდუქციის წარმოება ,რომლისათვისაც საჭიროა მასალა1 - 3 კგ და მასალა2 - 4კგ.

თუ გსურთ ნახოთ მასალის ნაშთები მონიშნეთ მასალები და დააჭირეთ ჩანაწერს „ნაშთი მონიშნული მასალებისთვის“. იხ.ეკრანს:



The screenshot shows a software window titled "ნაშთები" (Residuals). The window has a menu bar with various icons and a toolbar. Below the toolbar, there is a text field containing "თარიღი [ 28.04.2022 ] 10:00" and a home icon with the text "საწყობი". The main area of the window contains a table with the following data:

ანგარიში	დასახელება	სადებეტო ნაშთი	საკრედიტო ნაშთი
1620 14	14 მასალა1	78.39	
1620 15	15 მასალა2	80.09	
		158.48	

დახურეთ ეკრანი  ღილაკზე დაჭერით.  
ოპერაციის შესასრულებლად დააჭირეთ ღილაკს „OK“